დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობათა კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

მუხლი1.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის განაკვეთებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 ივლისის N8 დადგენილებაში და დადგენილების დანართში (www.matsne.gov.ge 20/07/2026 , სარეგისტრაციო კოდი: 210020010.35.114.016560) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ოქტომბრიდან.''

2.დადგენილების დანართის, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) ოჯახები (ფიზიკურ პირები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა 120001-ზე ნაკლებია.''

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.